სკოლის ხედვა - სწავლა-სწავლების მაღალი ხარისხით ხელი შეუწყოს დემოკრატიული, ჰუმანური, ცოდნაზე ორიენტირებული, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, გლობალურად მოაზროვნე აქტიური ადამიანების, თაობების აღზრდას, რომელიც შეცვლიან მსოფლიოს უკეთესობისკენ.

სკოლის მისია - შპს „მწვანე სკოლა დიღმის მასივის“ მისიაა შექმნას მოზარდთა ინტელექტუალირი და ფიზიკური აღზრდისთვის საჭირო ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო, მოსწავლეებს მისცეს თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი განათლება. აღზარდოს სასახელმწიფოებრივად და შემეცნებითად მოაზროვნე ახალგაზრდა, რომელიც მომავალი წარმატებებისთვის მუდმივად იზრუნებს აკადემიური ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებასა და გამოყენებაზე.

ღირებულებები

განცხადებული მომავლის ხედვისა და სკოლის მისიის განხორციელების მიზნით, სასკოლო საზოგადოება თანხმდება, რომ სკოლამ მთლიანობაში და მისმა ყოველმა ცალკეულმა თანამშრომელმა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი სამუშაო პრინციპებითა და მიდგომებით:

- პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული და ერთგულება;
- პატიოსნება და კეთილსინდისიერება;
- სხვათა შრომის, მიღწევებისა და აზრის პატივისცემა;
- მიუკერძოებლობა;
- ერთგულება;
- ინოვაციური მიდგომები და წარსული გამოცდილების გათვალისწინება;
- ინიციატივების სწორი შეფასება და განხორციელებაში ხელშეწყობა;
- პროფესიული ზრდა და განვითარება;
- გუნდურად მუშაობა.